შეთანხმულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან
ოქმი №8, „7" „ივლისი", 2017 წელი
სამსახურის უფროსი /დოქტ. დიანა მჭედლიშვილი/

განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
ოქმი №15, „11" , „ივლისი", 2017 წელი
ფაკულტეტის დეკანი /პროფ. დოქტ. თამარ შიოშვილი/

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე
ოქმი №9, „22" „აგვისტო", 2017 წელი
რექტორი / პროფ. დოქტ. ილიას ჩილოღლუ/

## სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

# ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკა

თბილისი
2017-2018 წელი

**მიმართულება:** 03 განათლება

**დარგი / სპეციალობა:** 0302 მასწავლებლის განათლება; **ქვედარგი:** 030201 საგნის/საგნობრივი ჯგუფის სწავლების მეთოდიკა/დიდაქტიკა

**საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკა(ინგლისურენოვანი)

**ფაკულტეტი:** განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა

**საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი:** პროფესორი განათლების მიმართულებით, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორი **ეკატერინე ფიფია**

განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის მართვის მენეჯერი

**ტელ:** (+995 32) 259 9505/25995006 (165); +995 593 14 77 97

**ელექტრონული ფოსტა:** ekapipia@ibsu.edu.ge

**განათლების საფეხური:** მაგისტრატურა (უმაღლესი განათლების II საფეხური)

**საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:** აკადემიური

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** განათლების მაგისტრი ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკაში (Master of Education in Methods of Teaching English Language)

**კვალიფიკაციის კოდი:** 030201

**სწავლების ენა:** ინგლისური

**პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** 120 ECTS კრედიტი

**პროგრამის სტრუქტურა:** პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს (3000 სთ.), მათ შორისაა:

- სავალდებულო სასწავლო კურსები - 60 კრედიტი (6 სასწავლო კურსი, თითოეული - 10 ECTS კრედიტის ოდენობით);
- არჩევითი სასწავლო კურსები – 30 კრედიტი (10 სასწავლო კურსი, აქიდან 8 სასწავლო კურსი არის 5 ECTS კრედიტის ოდენობის და 2 სასწავლო კურსი 10 ECTS კრედიტის ოდენობის (საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე: პედპრაქტიკა სკოლაში და სასერთიფიკატო კურსი).
- სავალდებულო კვლევითი კომპონენტი - სამაგისტრო ნაშრომი, 30 კრედიტის ოდენობით.

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად - საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე). სტუდენტი აბარებს A ტესტის ტიპის საერთო სამაგისტრო გამოცდას.

სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი. გარდა ამისა, პროგრამაზე სწავლის მსურველმა უნდა ჩააბაროს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში და ინგლისურ ენაში (B2 დონე). განმცხადებელს, რომელსაც აქვს ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი (TOEFL IBT, IELTS, FCE და სხვ.) ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარებისაგან თავისუფლდება. აგრეთვე, ინგლისური ენის გამოცდიდან თავისუფლდება ის პირი, რომელსაც ბოლო სამი წლის განმავლობაში აქვს დამთავრებული ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა და ამ პროგრამის ფარგლებში მისი ნიშნების საშუალო (GPA) არის სულ მცირე 75 (100-დან) ან 3 (4-დან).

**საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:**

თანამედროვე მსოფლიოში კომუნიკაცია პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამეცნიერო და კულტურულ სფეროში ინგლისურად მიმდინარეობს. შესაბამისად, ინგლისური ენის ცოდნის გარეშე ვერც ერთი ქვეყანა ვერ მიაღწევს წარმატებას საერთაშორისო ასპარეზზე, ამისათვის კი ინგლისური ენის მაღალკვალიფიციური მასწავლებლებია საჭირო. მოცემული სამაგისტრო პროგრამის უმნიშვნელოვანეს ღირსებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ იგი სტუდენტს საშუალებას აძლევს იმუშაოს ინგლისური ენის მასწავლებლად. რადგან საქართველოში, განათლების სფეროში არსებული კანონმდებლობის

გათვალისწინებით, პედაგოგიკა/განათლება არის რეგულირებადი პროფესია და სპეციალისტი ვერ გახდება სკოლის ნებისმიერი საფეხურის მასწავლებელი სკოლის მასწავლებლის პროგრამის ან სამაგისტრო პროგრამის გავლის გარეშე. პროგრამის მიზანია სტუდენტებს მისცეს თანამედროვე ცოდნა და მასწავლებლის სათანადო კვალიფიკაცია. ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკის პროგრამა თანამედროვე ევროპულ სტანდარტებზეა შემუშავებული, რაც საერთაშორისო დასაქმების გარანტიაა. სასწავლო კურსში გაწერილი სილაბუსების სპეციფიკა დაეხმარება სტუდენტებს მიიღონ ის თეორიული ცოდნა, რომელიც დაეხმარებათ მათ **DELTA**-ს (Diploma in Teaching English to Speakers of Other Languages, University of Cambridge) თეორიული გამოცდისთვის განსაზღვრული საკითხების მომზადებაში. ამასთანავე, პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული არჩევითი კურსი ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკა (TKT Essentials), საშუალებას მისცემს სტუდენტებს ჩააბარონ **Teaching Knowledge Test (TKT)**, რომელიც არის კემბრიჯის საერთაშორისო გამოცდა ინგლისური ენის მასწავლებლებისთვის.

რადგან პროგრამაზე სასწავლო პროცესი ინგლისურად მიმდინარეობს, ყველა სასწავლო კურსს თავისი წვლილი შეაქვს ინგლისურ ენაზე კომუნიკაციური კომპეტენციის განვითარებაში. ამ პროგრამაში მისაღწევი ინგლისური ენის დონე გულისხმობს, რომ სტუდენტები თავისუფლად იმეტყველებენ ინგლისურად პროფესიულ თემატიკაზე. სწავლის პერიოდში სტუდენტებმა უნდა შეასრულონ დიდი ოდენობის დამოუკიდებელი სამუშაო (პროექტები, პრეზენტაციები, საკურსო ნაშრომები) იმისათვის, რომ პროგრამის დამთავრებისას ჩამოყალიბებული ჰქონდეთ სწავლის გაგრძელების უნარი. პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის (განათლების მაგისტრი ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკაში) მისანიჭებლად საჭიროა პედაგოგიკის, ლინგვისტიკისა და მეთოდიკისა ღრმა ცოდნა, რომელიც უზრუნველყოფილია პროგრამის ფარგლებში. პროგრამის წარმატების დასრულების შემთხვევაში სტუდენტებს შეეძლებათ სრულყოფილად გამოიყენონ ინგლისური ენა პროფესიულ გარემოში, გახდნენ წარმატებული მასწავლებლები და გააგრძელონ ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკაში სამეცნიერო მუშაობა სადოქტორო დონეზე.

ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკის პროგრამა გულისხმობს ინგლისური ენი სწავლების მეთოდიკაში **აკადემიური წარმატების** მიღწევას, პროფესიული და პედაგოგიური უნარ-ჩვევების განვითარებას **საერთაშორისო სტანდარტების** გათვალისწინებით და რაც ყველაზე მთავარია, პროგრამა უზრუნველყოფს **შესაფერის, მოქნილ და პრაქტიკულ საგანმანათლებლო გარემოს,** რაც სტუდენტების გლობალურ სამყაროში წარმატებულ ჩართულობას განაპირობებს.

**სწავლის შედეგი:** პროგრამის კურსდამთავრებულებს გამოუმუშავდებათ შემდეგი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები:

| | | |
|---|---|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** | აქვს სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს. | კურსდამთავრებულს ექნება:<br>• აკადემიური ინგლისური ენის ცოდნა, რომელიც შეესაბამება საერთო ევროპული ჩარჩოს C1 დონეს;<br>• განათლებაში და ენათმეცნიერებაში არსებული თეორიებისა და მიმდინარეობების ღრმა ცოდნა;<br>• მეორე ენის შეთვისების თეორიებისა და კოგნიტური მოდელების ღრმა ცოდნა;<br>• ინგლისური ენის სწავლებისა და შესწავლის თეორიების ღრმა ცოდნა;<br>• ინგლისური ენის განვითარების ისტორიისა და ლექსიკის, გრამატიკის, ფონეტიკისა და მართლწერის ძირითადი თავისებურებების ღრმა ცოდნა;<br>• ინგლისური ენის სწავლების კვლევის მეთოდების ღრმა ცოდნა;<br>• თანამედროვე შეფასების სისტემაში არსებული ძირითადი თეორიების, კონტექსტებისა და პედაგოგიური მოთხოვნების ცოდნა;<br>• ინგლისური ენის გაკვეთილის დაგეგმვისთვის საჭირო მნიშვნელოვანი ელემენტების, კრიტერიუმების, რესურსებისა და საკლასო მენეჯმენტის საფუძვლიანი ცოდნა. |
| **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** | ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის, კვლევის | კურსდამთავრებულს ექნება:<br>• ინგლისური ენის სწავლებისა და სწავლის პროცესში მრავალფეროვანი მეთოდებისა და სტრატეგიების გამოყენების უნარი;<br>• სასწავლო მასალების დაგეგმვისა და შემუშავების უნარი; |

| | | |
|---|---|---|
| | დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით. | • ინგლისური ენის სწავლებაში არსებული პრობლემების (სწავლების მეთოდები, სახელმძღვანელოები, შეფასება, საინფორმაციო ტექნოლოგიები) გაანალიზებისა და მათი მოგვარების ალტერნატიული გზების მოძიების უნარი;<br>• დამოუკიდებლად კვლევის წარმოების უნარი შედარებითი და სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით;<br>• განათლების საკითხებზე ანალიტიკური მოხსენებებისა და ნაშრომის მომზადების უნარი;<br>• განათლების საკითხებზე საკონფერენციო მოხსენებების მომზადების უნარი;<br>• მიღებული ცოდნის საფუძველზე ინგლისური ენის სწავლებისა და სწავლის თანამედროვე სტრატეგიების შემუშავების უნარი;<br>• სამეცნიერო და ანალიტიკური ნაშრომების წერისას საჭირო რესურსების აქტიური გამოყენების უნარი (მაგ. ონლაინ ღია რესურსების და საარქივო მასალების ძიება, სტატისტიკური მონაცემების მოპოვება, ელექტრონული მონაცემების მოძიება) |
| **დასკვნის უნარი** | რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი. | კურსდამთავრებულს ექნება:<br>• შედარებითი ანალიზის საფუძველზე რთული პროფესიული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის, სინთეზისა და ინტერპრეტაციის უნარი;<br>• კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღების უნარი სასწავლო სიტუაციების გათვალისწინებით;<br>• კვლევის ორიგინალური დასკვნებისა და რეკომენდაციების ჩამოყალიბების უნარი; |

| | | |
|---|---|---|
| | | • ანალიზის და სამეცნიერო მუშაობის დროს მონათესავე დისციპლინების მოშველიების უნარი. |
| **კომუნიკაციის უნარი** | თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე, აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით. | კურსდამთავრებულს ექნება:<br>• ინგლისური ენის სწავლების თანამედროვე ტენდენციებთან დაკავშირებით როგორც სპეციალისტებთან, ასევე არასპეციალისტებთან ინფორმაციის მიწოდების უნარი;<br>• დებატებში, დისკუსიებში და საჯარო განხილვებში ეფექტური მონაწილეობის და მათი წაყვანის უნარი ინგლისურ ენაზე;<br>• ანგარიშების, წერითი და ზეპირი პრეზენტაციის მომზადება-წარგდენის და შეფასების უნარი;<br>• პროფესიულ ასოციაციებში და კავშირებში გამართულ შეხვედრებში აქტიური მონაწილეობის უნარი;<br>• ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციური კომპეტენციის გამოყენების უნარი, რომელიც საშუალებას მისცემს მას, განახორციელოს პროფესიული კომუნიკაცია ინგლისურად სემინარების, კონფერენციებისა და სხვა სამეცნიერო ღონისძიებებზე, ასევე ყოველდღიურ სამუშაოსთან და კვლევასთან დაკავშირებით. |
| **სწავლის უნარი** | სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე. | კურსდამთავრებულს ექნება:<br>• ინგლისური ენის სწავლებაში არსებული თეორიული და მეთოდოლოგიური ცოდნის მუდმივი განახლების უნარი;<br>• პროფესიული ლიტერატურისა და სხვა წყაროების შესწავლისა და დამუშავების უნარი;<br>• გუნდში მუშაობისა და ჯგუფური მუშაობის გაძღოლის უნარი;<br>• თვით- და ურთიერთ- შეფასების უნარი; |

| | | |
|---|---|---|
| | | • ინფორმაციის მართვის, სწავლისა და კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვის უნარი;<br>• საჭიროებიდან გამომდინარე პროფესიული სრულყოფის მიზნით შესაბამის სპეციალიზირებულ პროგრამებში და სადოქტორო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უნარი. |
| **ღირებულებები** | ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა. | კურსდამთავრებულს ექნება:<br>• პროფესიული, ეთიკური და აკადემიური ნორმების გათვალისწინების უნარი;<br>• კულტურული, პიროვნული და ენობრივი თავისებურებების პატივისცემა;<br>• ჰუმანისტური და დემოკრატიული განათლების პრინციპებისადმი პატივისცემა;<br>• საზოგადოებრივი ღირებულებების შეფასებისა და დამკვიდრების უნარი. |

# საგანმანათლებლო პროგრამა

სწავლის შედეგების რუკა:

| სასწავლო კურსი / მოდული / სასწავლო კურსი/პრაქტიკა/კვლევითი კომპონენტი | კომპეტენციების ჩამონათვალი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ცოდნა და გაცნობიერება | ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | დასკვნის უნარი | კომუნიკაციის უნარი | სწავლის უნარი | ღირებულებები |
| | | | | | | |
| ინგლისური ენის სწავლების კვლევის მეთოდები | × | × | × | × | × | × |
| ლინგვისტური თეორიები | × | × | × | × | × | × |
| ინგლისური ენის განვითარების ისტორია და თავისებურებები | × | × | × | × | × | |
| განათლება | × | × | × | × | × | × |
| მეორე ენის შეთვისების თეორიები და მეთოდები | × | × | × | × | × | × |
| ინგლისური ენობრივი უნარ-ჩვევების განვითარება | × | × | × | × | × | |
| ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკა (TKT Essentials) | × | × | × | × | × | |
| საქმიანი ინგლისურის სწავლება | × | × | × | × | × | |
| ზოგადი განათლების ფსიქოლოგია | × | × | × | × | × | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფსიქოლინგვისტიკა | × | × | × | × | × | |
| პედპრაქტიკა | × | × | × | × | × | × |
| შეფასების მეთოდები განათლებაში | × | × | × | × | × | × |
| ტექნოლოგიების გამოყენება ინგლისური ენის სწავლებისას | × | × | | × | × | |
| ინგლისური ენის სწავლების ლინგვოკულტურული საკითხები | × | × | × | × | × | × |
| ინგლისური აკადემიური მიზნებისთვის | × | × | | × | × | |
| აკადემიური წერა | × | × | × | × | × | × |
| სამაგისტრო ნაშრომი | × | × | × | × | × | × |

**სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:** სასწავლო პროცესში გამოიყენება სწავლებისა და სწავლის შემდეგი მეთოდები:

- **ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი** - ახალი თეორიული მასალის გადაცემა ზეპირსიტყვიერად, რომლის დროსაც ხდება სხვადასხვა მეთოდების ინტეგრირება თემატიკიდა გამომდინარე;
- **დემონსტრირების მეთოდი**, რომელიც ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც პედაგოგის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად. ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.
- **დისკუსია/დებატები** - ინტერაქტიური სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

- **ჯგუფური (collaborative) მუშაობა** - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში;
- **გონებრივი იერიში (Brain storming)** - ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან;
- **ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი** - სწავლების ინდუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან ზოგადისკენ, კონკრეტულიდან ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.

  სწავლების დედუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

  სასწავლო პროცესში ანალიზის მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

  სინთეზის მეთოდი გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას;
- **შემთხვევების შესწავლა** (Case study) –აქტიური პრობლემურ-სიტუაციური ანალიზის მეთოდი, რომლის საფუძველია სწავლება კონკრეტული ამოცანების- სიტუაციების გადაჭრის გზით. ეს მეთოდი დაფუძნებულია კონკრეტული პრაქტიკული მაგალითების განხილვაზე და ანალიზზე. 'ქეისი' არის ინსტრუმენტი, რომელის საშუალებითაც ხდება თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. თეორიისა და პრაქტიკის შეხამებით, მეთოდი ეფექტიანად ანვითარებს დასაბუთებული გადაწყვეტილებების მოკლე დროში მიღების უნარს. სტუდენტებს უნვითარდებათ ანალიტიკური აზროვნება, გუნდური მუშაობის, ალტერნატიული აზრის მოსმენისა და გაგების, ალტერნატივების გათვალისწინებით განზოგადოებული გადაწყვეტილებების გამომუშავების, მოქმედების დაგეგმივასა და მათი შედეგების პროგნოზირების უანრი;

- **წერითი მუშაობის მეთოდი-** გულისხმობს თეზისების შედგენას, ინდივიდუალური ანგარიშის, ესეს ანდ ნებისმიერი წერითი დავალების შესრულებას;
- **პრაქტიკული მეთოდი-** გულისხმობს სტუდენტის პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას მიღებული თეორიული მასალის საფუძველზე (მინი გაკვეთილების ჩატარება/პროექტების მომზადება). პროგრამის ფარგლებში სტუდენტები გადიან პედაგოგიურ პრაქტიკას, სადაც ამ მეთოდის გამოყენება ნათლად არის ასახული;
- **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება** (PBL)- გულისხმობს ახალი ცოდნის მიღებისათვის კონკრეტული პრობლემების ანალიზს.

| | |
|---|---|
| ლექცია | • პრეზენტაცია<br>• დემონსტრირება<br>• ინდუქცია<br>• დედუქცია<br>• ანალიზი<br>• სინთეზი<br>• შემთხვევების შესწავლა<br>• ელექტრონული რესურსით სწავლება |
| სამუშაო ჯგუფში მუშაობა | • დისკუსია/დებატები<br>• პრეზენტაცია<br>• წიგნზე მუშაობა<br>• დემონსტრირება<br>• გონებრივი იერიში<br>• შემთხვევების შესწავლა<br>• სიმულაცია<br>• როლური და სიტუაციური თამაშები<br>• პროექტი<br>• ინდუქცია<br>• დედუქცია<br>• ანალიზი<br>• სინთეზი |

| | |
|---|---|
| | • ელექტრონული რესურსით სწავლება |
| პრაქტიკული/ლაბორატორიული მუშაობა | • დემონსტრირება<br>• ამოცანების ამოხსნა<br>• პრობლემების გადაჭრა<br>• ჯგუფური მუშაობა<br>• ინდივიდუალური მუშაობა<br>• წიგნზე მუშაობა<br>• ინდუქცია<br>• ანალიზი<br>• სინთეზი<br>• ელექტრონული რესურსით სწავლება |
| სემინარი | • პრეზენტაცია<br>• დისკუსია/დებატები<br>• გონებრივი იერიში<br>• ინდუქცია<br>• დედუქცია<br>• ანალიზი<br>• სინთეზი<br>• ელექტრონული რესურსით სწავლება |
| დამოუკიდებელი მუშაობა | • წიგნზე მუშაობა<br>• ინდუქცია<br>• დედუქცია<br>• ანალიზი<br>• სინთეზი<br>• პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება<br>• შემთხვევების შესწავლა |

| | |
|---|---|
| | • პრეზენტაციის მომზადება<br>• პროექტის მომზადება<br>• საშიანო დავალების შესრულება<br>• ელექტრონული რესურსით სწავლება |

**სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:** შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებაში.

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

1) (A) ფრიადი – შეფასების 91 - 100 ქულა;

2) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81 - 90 ქულა;

3) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71 - 80 ქულა;

4) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61 - 70 ქულა;

5) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51 - 60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

1) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

2) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ აღემატება დასკვნითი შეფასების 60%-ს.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:

ა) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში;

ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.

დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მოაგროვა 41 - 50 ქულა ან მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი შესაფებისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

<u>შეფასების ფორმატია:</u>

- ტესტი, ქვიზი;
- ანგარიში;
- შემთხვევის ანალიზი;
- ზეპირი გამოკითხვა;
- სემინარი;
- პრეზენტაცია;
- აქტიურობა;
- საშინაო დავალება;

- ჯგუფური/ინდივიდუალური პროექტი;
- პორტფოლიო;
- პასიური და აქტიური დაკვირვება გაკვეთილზე (სასწავლო პრაქტიკა);
- შუალედური და დასკვნითი გამოცდა.

შეფასების კომპონენტებს შორის, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, არის სისწორე, სიზუსტე, სისრულე, თეორიული დასაბუთებისა და პრაქტიკული მაგალითების ადეკვატურობა.

სამაგისტრო ნაშრომი ფასდება მაქსიმუმ 100 ქულით შემდეგი სისტემის მიხედვით:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა.

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა.

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა.

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა.

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

გულისხმობს ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს რომ. სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

თუ მაგისტრანტი მიიღებს 41-50 ქულას (FX) მას უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში. თუ მაგისტრანტი მიიღებს 40 ქულას ან ნაკლებს (F) იგი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის

უფლებას. თუ მაგისტრანტი არ გამოცხადდა საჯარო დაცვაზე საპატიო მიზეზის გამო, (საპატიო მიზეზის არსებობის ფაქტი დასტურდება ინსტიტუტის საბჭოს მიერ), მაგისტრანტს იმავე სემესტრში ენიშნება საჯარო დაცვა. სამაგისტრო ნაშრომი უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას.

**საჯარო დაცვაზე სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება შემდეგი კრიტერიუმებით:**

| № | კრიტერიუმი | მაქსიმალური ქულა კრიტერიუმების მიხედვით | მინიჭებული ქულა |
|---|---|---|---|
| 1 | აქტუალობა | 10 | |
| 2 | კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა | 10 | |
| 3 | კვლევის თეორიული მნიშვნელობა | 10 | |
| 4 | სიახლე | 10 | |
| 5 | საკვლევი პრობლემის ანალიზის სიღრმე და დასკვნების ორიგინალობა | 15 | |
| 6 | კვლევის შედეგების დამაჯერებლობა (ექსპერიმენტის /მონაცემების სტატისტიკური დამუშავება, მსჯელობა) | 5 | |
| 7 | დაცვისას მასალის პრეზენტაცია (ლოგიკური მსჯელობა, პრეზენტაციის სტრუქტურა, მკაფიო მეტყველება, ნაშრომის ძირითადი დებულებების წარმოდგენა) | 15 | |
| 8 | დაცვის პროცესში კითხვებზე ადეკვატური პასუხების გაცემა, საკუთარი პოზიციის დასაბუთება, ტერმინოლოგიის ფლობა | 15 | |
| 9 | დაცვისას გამოყენებული თვალსაჩინოების ეფექტურობა | 10 | |
| | **სულ** | **100** | |
| | **საბოლოო შეფასება** | | |

(დეტალები იხილეთ სილაბუსში)

**სწავლების ორგანიზების თავისებურებები:** პროგრამით გათვალისწინებული 120 კრედიტი (3000 სთ.) გადანაწილებულია 2 აკადემიური წლის, 4 სემესტრის განმავლობაში შემდეგნაირად: I სემესტრი - 30, II სემესტრი - 30, III სემესტრი – 30, IV სემესტრი - 30.

კრედიტების დაანგარიშების საფუძვლად აღებულია ევროპული კრედიტებისა და ტრანსფერის სისტემა (ECTS): 1 კრედიტი = 25 სთ., რომელიც ფარავს როგორც სააუდიტორიო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათებს.

პროგრამით გათვალისწინებული თითქმის ყველა სავალდებულო კურსი ისწავლება გუნდური მეთოდით (Team Teaching), რაც გულისხმობს ორი ლექტორის აქტიურ ჩართულობას კურსის შემუშავებისა და მისი ჩატარების პროცესში.

პროგრამის ფარგლებში არჩევითი სასწავლო კურსები 5 კრედიტიანია, გარდა ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკასა (TKT Essentials) და პედაგოგიური პრაქტიკისა, სადაც კრედიტების რაოდენობა შეადგენს 10 ECTS. მსგავსი განსხვავება გამოწვეულია ორივე სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომიდინარე: 1. ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკა (TKT Essentials) ამზადებს სტუდენტს კემბრიჯის საერთაშორისო გამოცდისთვის (სამივე მოდული) და შესაბამისად მოითხოვს მეტ დამოუკიდებელ სამუშაოს. ეს კურსი საშუალებას მისცემს სტუდენტებს ჩააბარონ Teaching Knowledge Test (TKT), კემბრიჯის საერთაშორისო გამოცდა ინგლისური ენის მასწავლებლებისთვის. კურსის არჩევითი სტატუსი განპირობებულია იმით, რომ შესაძლოა პროგრამაში იყვნენ ისეთი სტუდენტები ვისაც უკვე აქვთ ეს სერთიფიკატი. 2. პედაგოგიური პრაქტიკა მოითხოვს ბევრ დამოუკიდებელ სამუშაოს, რადგან სტუდენტები აწარმოებენ პასიურ დასწრებას გაკვეთილებზე, წერენ გაკვეთილის გეგმებს, ანაგრიშებსა და პორტფოლიოს და ბოლოს, ატარებენ გაკვეთილებს.

მესამე სემესტრში პედაგოგიური პრაქტიკის გავლა აუცილებელია მხოლოდ იმ სტუდენტებისათვის, ვისაც არ აქვთ მინიმუმ ერთი წლის პედაგოგიური გამოცდილება. სწავლების ერთწლიანი გამოცდილების შემთხვევაში პროგრამაში მონაწილე სტუდენტებს საშუალება ექნებათ აირჩიონ ნებისმიერი არჩევითი სასწავლო კურსი.

სპეციალობის არჩევითი კომპონენტის 30 კრედიტიდან სტუდენტს აქვს შესაძლებლობა 10 კრედიტი აითვისოს თავისუფალი კრედიტების ფარგლებში.

დამასრულებელ სემესტრში გათვალისწინებულია სამაგისტრო ნაშრომის (30 კრედიტი) მომზადება და საჯარო დაცვა.

**დასაქმების სფერო:**
პროგრამა ყურადღებას ამახვილებს მასწავლებლის მომზადების ზოგადპედაგოგიურ, ფსიქოლოგიურ და მეთოდურ ასპექტებზე, რაც საშუალებას მისცემს მათ იმუშაონ ინგლისური ენის სკოლის მასწავლებლად (ნებისმიერ საფეხურზე), პრაქტიკოს მასწავლებლად ენათა ცენტრებში და უნივერსიტეტში.

აგრეთვე, მათ შეუძლიათ იმუშაონ ადმინისტრაციულ მუშაკად განათლების სფეროში.

**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ:**

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის გამართულ მუშაობას:

- პროექტორებით და სხვა სასწავლო რესურსით აღჭურვილი აუდიტორიები;
- თანამედროვე ტექნოლოგიებით, ინტერნეტით და მდიდარი ბეჭდური და ელექტრონული წიგნების ფონდით აღჭურვილი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა;
- უნივერსიტეტის ელექტორნულ ბაზაში (Smart) სასწავლო კურსების გახსნისას ლექტორების მიერ განთავსებული სასწავლო თემატიკის შესაბამისი სლაიდები;
- უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული სხვა მატერიალური რესურსი.

**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ**

| სასწავლო კურსი | სახელი, გვარი | აკადემიური თანამდებობა /კვალიფიკაცია |
|---|---|---|
| **სპეციალობის სავალდებულო კომპონენტი** | | |
| ინგლისური ენი სწავლების კვლევის მეთოდები | ნიკოლოზ ფარჯანაძე | პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი (აფილირებული) |
| ლინგვისტური თეორიები | ზაალ კიკვიძე | მოწვეული ლექტორი, ფილოლოგიის დოქტორი |
| ინგლისური ენის განვითარების ისტორია და თავისებურებები | მარიამ ბანძელაძე | ასოც. პროფ., განათლების დოქტორი |
| განათლება | ნათელა დოღონაძე;<br>მეჰმეთ შაჰინერი | პროფესორი, განათლების დოქტორი(აფილირებული); |

| | | |
|---|---|---|
| | | ასოც. პროფ., განათლების დოქტორი(აფილირებული) |
| მეორე ენის შეთვისების თეორიები და მეთოდები | ნათელა დოღონაძე;<br>თამუნა ხეთაგური | პროფესორი, განათლების დოქტორი(აფილირებული);<br>ასოც. პროფ., განათლების დოქტორი |
| ინგლისური ენობრივი უნარ-ჩვევების განვითარება | მაია ჩქოტუა;<br>ნინო თვალჭრელიძე | ასოც. პროფ., განათლების დოქტორი(აფილირებული);<br>ასოც. პროფ., განათლების დოქტორი(აფილირებული) |
| **კვლევითი კომპონენტი** | | |
| სამაგისტრო ნაშრომი | | შესაბამის მიმართულებაში დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი |
| **სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები** | | |
| ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკა (TKT Essentials) | ეკატერინე ფიფია | პროფესორი განათლების მიმართულებით, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორი |
| საქმიანი ინგლისურის სწავლება | ლელა აბდუშელიშვილი | ასოც. პროფ., განათლების დოქტორი |
| ზოგადი ფსიქოლოგია | ნინო თვალჭრელიძე | ასოც. პროფ., განათლების დოქტორი(აფილირებული) |
| ფსიქოლინგვისტიკა | თამუნა ხეთაგური | ასოც. პროფ., განათლების დოქტორი |
| პედპრაქტიკა | მეჰმეთ შაჰინერი | ასოც. პროფ., განათლების დოქტორი(აფილირებული) |
| შეფასების მეთოდები განათლებაში | ეკატერინე ფიფია | პროფესორი განათლების მიმართულებით, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორი |

| | | |
|---|---|---|
| ტექნოლოგიების გამოყენება ინგლისური ენის სწავლებისას | მურატ ერგუვანი;<br><br>ნიკოლოზ ფარჯანაძე | მოწვეული ლექტორი, განათლების დოქტორი<br><br>პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი(აფილირებული) |
| ინგლისური ენის სწავლების ლინგვოკულტურული საკითხები | მაია ჩქოტუა | ასოც. პროფ., განათლების დოქტორი (აფილირებული) |
| აკადემიური წერა | ნიკოლოზ ფარჯანაძე | პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი (აფილირებული) |
| ინგლისური აკადემიური მიზნებისათვის | ეკატერინე ფიფია | პროფესორი განათლების მიმართულებით, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორი |

## სასწავლო გეგმა

| № | სასწავლო კურსი / მოდული/ პრაქტიკა / კვლევითი კომპონენტი | სტატუსი | კრედიტების რაოდენობა | კრედიტების განაწილება სასწავლო კურსებისა და სემესტრების მიხედვით | | | | საათების განაწილება | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | I ს.წ. | | II ს.წ | | საკონტაქტო | | | | | დამოუკიდებელი მუშაობა | ჯამური საათები | საკონტაქტო საათების რაოდენობა კვირაში |
| | | | | I სემესტრი | II სემესტრი | III სემესტრი | IV სემესტრი | ლექცია/კონსულტაცია | სემინარი/ჯგუფური მუშაობა/ პრაქტიკული /ლაბორატორიული სამუშაო | შუალედური გამოცდ(ა/ები) | დასკვნითი გამოცდა | სულ საკონტაქტო | | | |
| | სპეციალობის სავალდებულო კომპონენტი | სავალდებულო | 60 | 30 | 20 | 10 | 30 | 140 | 118 | 12 | 13 | 283 | 1217 | 1500 | 18 |
| 1 | ინგლისური ენის სწავლების კვლევის მეთოდები | სავალდებულო | 10 | 10 | | | | 15 | 28 | 2 | 3 | 48 | 202 | 250 | 3 |
| 2 | ლინგვისტური თეორიები | სავალდებულო | 10 | 10 | | | | 29 | 14 | 2 | 2 | 47 | 203 | 250 | 3 |
| 3 | მეორე ენის შეთვისების თეორიები და მეთოდები | სავალდებულო | 10 | 10 | | | | 29 | 14 | 2 | 2 | 47 | 203 | 250 | 3 |
| 4 | განათლება | სავალდებულო | 10 | | 10 | | | 19 | 24 | 2 | 2 | 47 | 203 | 250 | 3 |
| 5 | ინგლისური ენის განვითარების ისტორია და თავისებურებები | სავალდებულო | 10 | | 10 | | | 29 | 14 | 2 | 2 | 47 | 203 | 250 | 3 |

| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | ინგლისური ენობრივი უნარ-ჩვევების განვითარება | სავალდებულო | 10 | | | 10 | | 19 | 24 | 2 | 2 | 47 | 203 | 250 | 3 |
| | სპეციალობის არჩევითი კომპონენტი | არჩევითი | 30 | | 10 | 20 | | 80 | 75 | 10 | 10 | 175 | 575 | 750 | 11 |
| 7 | შეფასების მეთოდები განათლებაში | არჩევითი | | | 5 | | | 15 | 13 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 | 2 |
| 8 | აკადემიური წერა | არჩევითი | | | 5 | | | 13 | 15 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 | 2 |
| 9 | ზოგადი განათლების ფსიქოლოგია | არჩევითი | | | 5 | | | 15 | 13 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 | 2 |
| 10 | ფსიქოლინგვისტიკა | არჩევითი | | | 5 | | | 15 | 13 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 | 2 |
| 11 | ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკა (TKT Essentials) | არჩევითი | | | 10 | | | 22 | 21 | 2 | 2 | 47 | 203 | 250 | 3 |
| 12 | პედპრაქტიკა | არჩევითი | | | | 10 | | 15 | 36 | | | 51 | 199 | 250 | 1 |
| 13 | საქმიანი ინგლისურის სწავლება | არჩევითი | | | | 5 | | 15 | 13 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 | 2 |
| 14 | ტექნოლოგიების გამოყენება ინგლისური ენის სწავლებისას | არჩევითი | | | | 5 | | 12 | 16 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 | 2 |
| 15 | ინგლისური ენის სწავლების ლინგვოკულტურული საკითხები | არჩევითი | | | | 5 | | 15 | 13 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 | 2 |
| 16 | ინგლისური აკადემიური მიზნებისთვის | არჩევითი | | | | 5 | | 15 | 13 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 | 2 |
| | სავალდებულო კვლევითი კომპონენტი | | 30 | | | | 30 | | 30 | | | 30 | 720 | 750 | 2 |
| 17 | სამაგისტრო ნაშრომი | | 30 | | | | 30 | | 30 | | | 30 | 720 | 750 | 2 |
| სული | | | 120 | 30 | 30 | 30 | 30 | 220 | 223 | 22 | 23 | 488 | 2512 | 3000 | 31 |

შენიშვნა:

1. კვირეული საკონტაქტო საათების მითითებისას გასათვალისწინებელია, რომ ყველა კვირაში საათები არ არის ერთნაირად გადანაწილებული: პირველ კვირაში ყველა სასწავლო კურსი მოიცავს მხოლოდ ლექციას.
2. სპეციალობის არჩევითი კომპონენტის 30 კრედიტიდან სტუდენტს აქვს შესაძლებლობა 10 კრედიტი აითვისოს თავისუფალი კრედიტების ფარგლებში.
3. რადგან ყველა არჩევით საგანს არა აქვს საათების ერთნაირი განაწილება (ლექცია-სემინარი-პრაქტიკული-შუალედური გამოცდა) ჯამური საათების გაანგარიშებისას, პირობითად ვიღებთ პირველი ხუთ კრედიტიანი სასწავლო კურსის მონაცემებს.
4. არჩევითი საგნებისთვის სემესტრები პირობითად არის მითითებული, გარდა სასკოლო პრაქტიკისა, რომელიც არჩევითად შეთავაზებული იქნება მესამე სემესტრში.

## სასწავლო გეგმის დამატებითი ცხრილი

| № | სასწავლო კურსი პრაქტიკული/კვლევითი კომპონენტი | კოდი | სემესტრი | წინაპირობა | ლექტორი | ძირითადი ლიტერატურა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ინგლისური ენის სწავლების კვლევის მეთოდები | ELT506 | I | არ აქვს | ნიკოლოზ ფარჯანაძე | 1. Ann Briggs, Marianne Coleman, Marlene Morrison (Edits.) (2012) Research Methods in Educational Leadership and Management<br>2. James Arthur, Michael Waring, Robert Coe, Larry V. Hedges (Edits.) (2012) Research Methods and Methodologies in Education<br>3. IBSU. (2015). *Guidelines for Thesis Writing - IBSU Regulations on Thesis Writing.* Tbilisi: International Black Sea University. |
| 2 | ლინგვისტური თეორიები | ELT501 | I | არ აქვს | ზაალ კიკვიძე | 1. O'Grady, W., Dobrovolsky, M., Katamba, F. (eds.). *Contemporary Linguistics. An Introduction*. London & New York: Longman, 1999.<br>2. Kikvidze, Z. *Language, Gender and Nationalism*. Tbilisi: Universal, |
| 3 | მეორე ენის შეთვისების თეორიები და მეთოდები | ELT502 | I | არ აქვს | ნათელა დოღონაძე; თამუნა ხეთაგური | 1. R. Mitchel& F. Myles & E. Marsden (2013), *Second Language Learning Theories,* Routledge |
| 4 | ინგლისური ენის განვითარების ისტორია და თავისებურებები | ELT503 | II | არ აქვს | მარიამ ბანძელაძე | 1. Pipia E.&Parjanadze N. &Bandzeladze M. (2015) *History and Peculiarities of English Language* (Course Notes), Tbilisi |
| 5 | განათლება | ELT504 | II | არ აქვს | ნათელა დოღონაძე; | 1. Kauchak, D. and Eggen, P. (2005). Introduction to Teaching. Pearson Education International |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | მეჰმეთ შაჰინერი | 2. Georgian Law on General Education (საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ) (2005). http://www.ncac.ge/index.php?m=785<br>3. Leach, J. & Moon, B. (2008). The power of Pedagogy. Sage publishers |
| 6 | ინგლისური ენობრივი უნარ-ჩვევების განვითარება | ELT505 | II | არ აქვს | მაია ჩქოტუა;<br>ნინო თვალჭრელიძე | 1. Doff, A. (2012). Teach English: A Training Course for Teachers. (2nd Ed). Cambridge University Press.<br>1. Hedge, T. (2008). Teaching and Learning in the Language Classroom. Oxford University Press.<br>2. Harmer, J. (2009). How to Teach English. Pearson: Longman.<br>3. Henkel, E. (2009). Culture in Second Language Teaching and Learning. Cambridge University Press.<br>4. Mcdonough, J., Shaw, C. &Masuhara, H. (2013). Materials and Methods in ELT.Wiley-Blackwell.<br>5. McGrath, I. (2013). Teaching Materials and the Roles of EFL/ESL Teachers.<br>6. Scrivener, J. (2011). Learning to Teach: The Essential Guide to English Language Teaching. (3rd Ed). Macmillan Publishers limited.<br>7. Ur, P. (2012). A Course in English Language Teaching. Cambridge University Press. |
| 7 | ზოგადი განათლების ფსიქოლოგია | ELT514 | | არ აქვს | ნინო თვალჭრელიძე | 1. Ciccarelli, S.Meyer, G. (2006). Psychology. Pearson, Prentice Hall: Upper Saddle River<br>2. Tennant, M. (2006). Psychology and adult learning. Routledge: N.Y<br>3. Doghonadze, N. (2014). General and Higher Education Psychology. Course notes. |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | ფსიქოლინგვისტიკა | ELT511 | | არ აქვს | თამუნა ხეთაგური | 1. Michael Spivey, Ken McRae, Marc Joanisse: The Cambridge Handbook of Psycholinguistics, Cambridge University Press (2012) |
| 9 | შეფასების მეთოდები განათლებაში | ELT512 | | არ აქვს | ეკატერინე ფიფია | 1. Cecil R. Reynolods& Ronald B. Livingston&Victor Willson (2009), *Measurement and assessment in education,* Pearson<br><br>2. კანონი ზოგადი განათლების შესახებ- [http://www.mes.gov.ge/uploads/Licenzireba/kanoni%20zogadi%20ganatlebis%20shesaxeb.pdf](http://www.mes.gov.ge/uploads/Licenzireba/kanoni%20zogadi%20ganatlebis%20shesaxeb.pdf) |
| 10 | აკადემიური წერა | ELT513 | | არ აქვს | ნიკოლოზ ფარჯანაძე | Greene, S., & Lidinsky, A. (2015). *From Inquiry to Academic Writing: a Text and Reader* (3rd ed.). Boston: Bedford/St. Martin's. |
| 11 | ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკა (TKT Essentials) | ELT507 | | არ აქვს | ეკატერინე ფიფია | 1. Mary Spratt, Alan Pulverness, Melanie Williams, *The TKT Course*, *Modules 1,2 and 3*, 2011, Cambridge University Press<br><br>2. Joanne Welling ( 2009), *The TKT Course Training Activities CD-ROM* , Cambridge University Press; 1 Cdr edition<br>3. Dave Davies (2010), *TKT with Answers: Preparing for the Cambridge Teaching Knowledge Test,* Create Space Independent Publishing Platform |
| 12 | ინგლისური აკადემიური მიზნებისთვის | ELT509 | | არ აქვს | ეკატერინე ფიფია | 1. Spratt M. (1994), *English for the Teacher,* A Language Development Course, Cambridge University Press<br><br>Porter D. (2007), *Check your Vocabulary for Academic English,* A & C Black Publishers, London |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 13 | ინგლისური ენის სწავლების ლინგვოკულტურული საკითხები | ELT516 | | არ აქვს | მაია ჩქოტუა | 1. Henkel, E. (2009). Culture in Second Language Teaching and Learning. Cambridge University Press.<br>2. Liddicoat, A.J. & and Scarino, A. (2013). *Intercultural Language Teaching and Learning.* UK: Wiley-Blackwell.<br>3. Moran, P. (2001). Teaching Culture: Perspectives in Practice. Heinle, Cengage Learning.<br>4. Chkotua M. (2010). Cultural Issues in English Language Teaching. Tbilisi |
| 14 | საქმიანი ინგლისურის სწავლება | ELT515 | | არ აქვს | ლელა აბდუშელიშვილი | 1. Mark Ellis and Christine Johnson. “Teaching Business English”. Oxford University Press. 2010<br>2. Evan Fernando. “How to Teach Business English”. Longman. 2005 |
| 15 | ტექნოლოგიების გამოყენება ინგლისური ენის სწავლებისას | ELT510 | | არ აქვს | მურატ ერგუვანი;<br>ნიკოლოზ ფარჯანაძე | 1. Davison, C. (Ed.). (2005). *Information Technology and Innovation in Language Education.* Hong Kong: Hong Kong University Press.<br>2. Wei, C.-L. (2007). *E-TESOL: A Comprehensive Guide to Internet-Based TESL/TEFL.* Taipei: Kaun Tang International Publications. |
| 16 | პედპრაქტიკა | ELT508 | III | წინა სემესტრების სავალდებულო სასწავლო კურსები | მეჰმეთ შაჰინერი | ხელმძღვანელისა და მენტორის მიერ მომზადებული მასალები; სკოლის სახელმძღვანელოები |
| 17 | სამაგისტრო ნაშრომი | ELT517 | IV | პროგრამით გათვალის | შესაბამის მიმართულებაში დოქტორის | სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის რეკომენდაციით |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | წინებული სასწავლო კომპონენტ ი | აკადემიური ხარისხის მქონე პირი | |